



აქაკი წარათლის  
სახალმწიფო უნივერსიტატი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი

## სადოქტორო პროგრამა

თეორიული, შედარებითი და ტიპოლოგიური  
ენათმეცნიერება

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ზ. კიკვიძე

ქუთაისი

2008

1. **პროგრამის სახელწოდება:** თეორიული, შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება
2. **მეცნიერების დარგი:** ფილოლოგია
3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის დოქტორი
4. **პროგრამის ხელმძღვანელი:** აწსუ ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტის სრული პროფესორი ზაალ კიკვიძე
5. **პროგრამის განმახორციელებაში მონაწილე ფაკულტეტები და სტრუქტურული ერთეულები:**

1. **ფაკულტეტი:**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2. **დეპარტამენტი:**

ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი

6. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

- 6.1. **პროგრამის მიზანი:**

სადოქტორო პროგრამა თეორიული, შედარებით და ტიპოლოგიურ ენათმეცნიერებაში წარმოდგენს სწავლების უმაღლეს საფეხურს, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ენათმეცნიერების ყველა ძირითადი ასპექტის გაცნობასა და დაუფლებას დოქტორანტის მიერ. პროგრამის მიზანია მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგის მომზადება, რომელსაც დამოუკიდებელი კვლევისა და მეცნიერული დასკვნების გამოტანის უნარი ექნება. სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას.

აწსუ-ს ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტს საკმაო გამოცდილება და შესაბამისი კონტაქტები გააჩნია იმისათვის, რომ დოქტორანტები ჩაერთონ ამ საქმიანობაში და შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები შეიძინონ ამის შედეგად. არსებული ტრადიციებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, სოციოლინგვისტიკა, ენა და გენდერი, ენათა შეპირისპირებითი კვლევა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და ა.შ.

## **6.2. მოსალოდნელი შედეგები:**

დოქტორანტურა მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მინიჭებით შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში (თეორიული, შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება); მისი დაცვიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა დისერტაცია გამოქვეყნდება მონოგრაფიის სახით ან მისი ელექტრონული ვერსია განთავსდება ინტერნეტში. სადისერტაციო ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსებისა და შესატყვისი მიმართულებებით კვლევის გაგრძელება-გაღრმავებისათვის.

## **7. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები**

სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევითი თუ სასწავლო-კვლევითი დაწესებულებები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია, გამომცემლობები.

## **8. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი**

წინამდებარე სადოქტორო პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე ლუნდის (შვედეთი), სოფიის (ბულგარეთი), ამსტერდამის (ჰოლანდია) უნივერსიტეტების, მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტისა (რუსეთი) და სხვათა მოწინავე გამოცდილება. გათვალისწინებულია საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნები (სადოქტორო პროგრამების წარდგენის ინსტრუქცია) და აწესდებული ჰუმანიტარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.

სადოქტორო პროგრამით მეცნიერებათა დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი. სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს); აქედან სასწავლო კომპონენტი დაიკავებს არაუმეტეს 1/3-ისა, ანუ 180 კრედიტიდან 60 დაეთმობა სასწავლო კომპონენტს (ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები), ხოლო დანარჩენი 120 კრედიტი – სამეცნიერო-კვლევითს (სამეცნიერო ნაშრომები, კოლოქვიუმები და სხვ.).

დოქტორანტურაში სწავლის (როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის) აუცილებელი ნაწილია დოქტორანტის კოლოკვიუმი. კოლოკვიუმზე ხდება დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია, მიღწევებისა და პრობლემების განხილვა. დისერტანტი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც წარსდგეს კოლოკვიუმზე მოხსენებით.

8. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

| I მოდული           | დისციპლინა                                  | ECTS კრედიტი |
|--------------------|---|--------------|
| თეორიული კურსები   | 1. თეორიული ენათმეცნიერება                  | 5            |
|                    | 2. შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება | 10           |
|                    | 3. სპეცკურსი საკვლევ თემატიკაში             | 5            |
| II მოდული          | დისციპლინა                                  | ECTS კრედიტი |
| პრაქტიკული კურსები | 1. I უცხო ენა                               | 5            |
|                    | 2. II უცხო ენა                              | 5            |
|                    | 3. პედაგოგიური პრაქტიკა                     | 5            |
|                    |   | სულ: 35      |

|                      |              |
|----------------------|--------------|
| სადოქტორო დისერტაცია | ECTS კრედიტი |
|                      | 120          |
|                      | სულ: 155     |

| №  | საგნის დასახელება                        | საგნის სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით |    |     |    |   |    | გამოცდა |    |     |    |   |    | შე |  |
|----|--|----------------|----------------------|---|----|-----|----|---|----|---------|----|-----|----|---|----|----|--|
|    |  |                |                      | I   | II | III | IV | V | VI | I       | II | III | IV | V | VI |    |  |
| 1. | თეორიული ენათმეცნიერება                  | სავალდებულო    | 10                   | 5   |    |     |    |   |    |         |    | ✓   |    |   |    |    |  |
| 2. | შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება | სავალდებულო    | 20                   | 5   | 5  |     |    |   |    |         |    |     |    | ✓ |    |    |  |
| 3. | სპეც. კურსი                              | სავალდებულო    |                      |   |    |     |    |   |    |         |    |     |    |   |    |    |  |

|    |                    |             |           |   |  |  |  |  |  |  |  |  |   |  |  |  |  |
|----|--------------------|-------------|-----------|---|--|--|--|--|--|--|--|--|---|--|--|--|--|
|    | საკვლევ თემატიკაში |             | 10        | 5 |  |  |  |  |  |  |  |  | ✓ |  |  |  |  |
| 4. | I უცხო ენა         | სავალდებულო | 10        | 5 |  |  |  |  |  |  |  |  | ✓ |  |  |  |  |
| 5. | II უცხო ენა        | სავალდებულო | 5         | 5 |  |  |  |  |  |  |  |  | ✓ |  |  |  |  |
|    | <b>სულ</b>         |             | <b>55</b> |   |  |  |  |  |  |  |  |  |   |  |  |  |  |

**კვლევითი კომპონენტი**

| №  | საგნის დასახელება | საგნის სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით |    |     |    |   |    | შენიშვნა |  |
|----|-------------------|----------------|----------------------|---|----|-----|----|---|----|----------|--|
|    |                   |                |                      | I   | II | III | IV | V | VI |          |  |
| 6. | დისერტაციის დაცვა | სავალდებულო    | 120                  |   |    |     |    |   |    | 120      |  |
|    | <b>სულ</b>        |                | <b>120</b>           |   |    |     |    |   |    |          |  |

**დარგის სწავლების მეთოდოლოგია**

| №  | საგნის დასახელება    | საგნის სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით |    |     |    |   |    | შენიშვნა |  |
|----|----------------------|----------------|----------------------|---|----|-----|----|---|----|----------|--|
|    |                      |                |                      | I   | II | III | IV | V | VI |          |  |
| 7. | პედაგოგიური პრაქტიკა | სავალდებულო    | 5                    |   |    |     | 5  |   |    |          |  |
|    | <b>სულ</b>           |                | <b>5</b>             |   |    |     |    |   |    |          |  |

**9. კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია:**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (თეორიული, შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება)

**10. დასაქმების სფეროები:**

სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევითი თუ სასწავლო-კვლევითი დაწესებულებები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია, გამომცემლობები

**11. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი შესაბამის დარგში
  - გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში:
    - ა) ზოგადი ენათმეცნიერება
    - ბ) I უცხო ენა
- სპეციალობის გამოცდაში შეფასების ჯამური ნიშანია 100 ქულა. თუ კონკურსანტი დააგროვებს ქულათა საერთო რაოდენობის 90-ზე მეტს, იგი შეფასდება ნიშნით-„ფრიადი“, 76-დან 90-ის ჩათვლით-„კარგი“, 51-დან 75-ის ჩათვლით-„დამაკმაყოფილებელი“, 51-ზე ნაკლები-„არადამაკმაყოფილებელი“.

**12. მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა**

3 ან 4 დოქტორანტი

**13. პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა**

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტის ბაზაზე, დეპარტამენტის კაბინეტსა და ბიბლიოთეკაში.

**14. პროგრამაში ჩართული პროფესორების CV (თან ერთვის)**

**14. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები:**

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოხუმის უნივერსიტეტი  
მალმეს უნივერსიტეტი (შვედეთი)  
ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)  
ბაქოს სლავური უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი", 4 - "საშუალო", 5 - "კარგი", 6 - "ძალიან კარგი", 7 - "ფრიადი";
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული  $E_0$ ;
- დ)  $E$  განისაზღვრება, როგორც  $E_0$ -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ  $E_0$  არის  $n,5$  სახის, მაშინ  $E$  განისაზღვრება  $n+1$  -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის  $E$  რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ  $2/3$  -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E \geq 2$ ;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 1$ .

